
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო ბიბლიოთეკა

# ScienceDirect

გზამკვლევი



# მთავარი გვერდი > ბიბლიოთეკა > საერთაშორისო ბაზები






# საერთაშორისო ბაზები < წვდომის ფორმა




გაცნობებთ, რომ უნივერსიტეტისთვის გაიხსნა წვდომა **Elsevier**-ის ბაზებზე.

(Elsevier-ი არის გლობალური საინფორმაციო-ანალიტიკური ქსელი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციებს განავითარონ სამეცნიერო საქმიანობა)

ბაზებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა ქსელიდან.

წვდომა გაიხსნა Elsevier-ის შემდეგ ბაზებზე:

**Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional)**

**Scopus**-ის ბაზებზე წვდომის მიზნით, მიყევით და დარეგისტრირდით ბმულზე
http://www.scopus.com

**Scopus**-ის ბაზებზე წვდომის გზამკვლევის სანახავად მიყევით ბმულს
https://www.elsevier.com/solutions/scopus

**Science Direct**-ის რესურსებზე წვდომის მიზნით მიყევით და დარეგისტრირდით ბმულზე
https://www.sciencedirect.com/


**Science Direct**-ის ბაზებზე წვდომის გზამკვლევის სანახავად მიყევით ბმულს
http://www.elsevier.com/solutions/sciencedirect/support

**Scival Funding (Funding Institutional)**-ზე წვდომის მიზნითდარეგისტრირდით ბმულზე
https://www.fundinginstitutional.com

**Scival Funding (Funding Institutional)**-ის რესურსებზე წვდომის გზამკვლევის სანახავად მიყევით ბმულს
https://www.fundinginstitutional.com


# მასალის მოძიება

- საკვანძო სიტყვის მეშვეობით
- ავტორის გვარით
- წიგნის/ჟურნალის სათაურით
- გაფართოებული მოძიება
- ჟურნალები & წიგნები ანბანის მიხედვით




## გაფართოებული მოძიება

- ჩაწერეთ საკვანძო სიტყვა





## ჟურნალები & წიგნები ანბანის მიხედვით


- გამოიყენეთ ფილტრები



# გაფართოებული მოძიება:

მონიშნეთ ფილტრები < წლები; სტატიის სახეები; მეცნიერების დარგები; წვდომის ფორმები და ა.შ.



## მასალის მოძიების ზოგადი წესები:

- მნიშვნელობა არა აქვს საძიებო ველში სიტყვას დიდი ასოთი დავწერთ თუ არა
  - მაგალითად: Theater = theater;
- ბრიტანული ან ამერიკული მართლწერის შემთხვევაში ორივე ვარიანტის შედეგები გამოისახება
  - მაგალითად: Colour, Color ;
- თუ არსებით სახელს დავწერთ მხოლობით რიცხვში, ძიების შედეგებში აღნიშნული სიტყვა გამოისახება არა მარტო მხოლობით, არამედ მრავლობით რიცხვში და სხვადასხვა ბრუნვაში;
- ზედა და ქვედა ინდექსი, რომელიც არის სიმბოლო (რიცხვი ან ასო) და იწერება დაყენებული შრიფტის ასოს ან რიცხვის ზემოთ ან ქვემოთ, შეგიძლიათ ჩაწეროთ მოცემული შრიფტის ზომაში
  - მაგალითად: ***$H_2O$*** შეგიძლიათ დაწეროთ **H2O;**
- აქცენტირებული სიმბოლოების გამოყენება არ არის აუცილებელი (**Fürste = Furste**);
- ბერძნული ანბანის ასოს ნებისმიერი სახით შეყვანისას გამოსახავს შედეგს (**α ან β ან alpha, ან beta**).

# მასალის მოძიება ფრაზით

- თუ გამოვიყენებთ ფრაზაში **OR-**ს (ან) შედეგები აისახება ერთ-ერთ მითითებულ ვარიანტზე.
- ✓ მაგალითად: თუ ჩავწერთ ფრაზას - **covid-19 OR coronavirus**, ძიების შედეგებში აისახება მასალა covid-19 ან coronavirus-ის ტერმინით;
- თუ გამოვიყენებთ ფრაზაში **AND NOT**- ს ის გამორიცხავს მითითებულ ტერმინს.
- ✓ მაგალითად: chemistry **AND** organic **AND NOT** inorganic;
- ***შენიშვნა: OR, AND, AND NOT - უნდა მივუთითოთ დიდი ასოებით***
- თუ გამოვიყენებთ ე.წ. ბრჭყალებს (“ “) მითითებული სიტყვა შედეგებში აისახება მხოლობით და მრავლობით რიცხვში სხვადასხვა კომბინაციით.
- ✓ მაგალითად: თუ ჩავწერთ ფრაზას - “ heart-attack“, აისახება heart-attack, heart-attacks და ა.შ.
- ფიგურული ფრჩხილების { } გამოყენებით შეიძლება კონკრეტული ფრაზის მოძებნა.
- ✓ მაგალითად: { heart-attack } შედეგებში ზუსტად ეს სიტყვა აისახება.


NON SOLUS
ELSEVIER